საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 21 0000416097

27/04/2021

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლი ს პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“,

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი

სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 28 თებერვალს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 260511 სააკრედიტაციო განაცხადი „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 7 აპრილის № 332168 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის №471266 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 26 ივნისს განახორციელა დისტანციური ვიზიტი დაწესებულებაში, ხოლო 2020 წლის 17 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3 საბჭოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №998928 გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.
2.4 2020 წლის 31 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის №1245363 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.
2.5 სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის №315096 გადაწყვეტილებით, საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
2.6 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, სააპელაციო საჩივარი, საჩივარზე თანდართული დოკუმენტაცია, სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის №315096 გადაწყვეტილება და სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი.
2.7 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 13 აპრილს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, სააპელაციო საჩივრის, საჩივარზე თანდართული დოკუმენტაციის, სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის №315096 გადაწყვეტილების და სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დასკვნაში და აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №998928 გადაწყვეტილებაში ასახული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩია, რომ შეფასება უნდა იყოს შემდეგნაირი: აკრედიტაციის პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, 15 ხმით ერთი ხმის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.
2. ცნობილ იქნას „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416093 სხდომის ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები:
რეკომენდაციები:
4.1 რეკომენდებული გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი განათლების მეცნიერებების კვლევებისა და განვითარების მიმართულებით;
4.2 რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით ახალ მარეგულირებელთან მოვიდეს შესაბამისობაში;
4.3 რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს პედაგოგიკის მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით;
4.4 რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B2 ზე მეტით, ამასთან, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/პროფესიული გამოცდილება/პუბლიკაცია;
4.5 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილების სტუქტურას და მოცულობას;
4.6 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
4.7 რეკომენდებულია „ნიუ-ვიჟენ“ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების, დისერტაციის ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია;
4.8 რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის სპეციფიკაციაში აღინიშნოს სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში;
4.9 რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალური შემფასებლების კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი მიმართება დისერტანტის საკვლევ საკითხთან;
4.10 რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოცხადებული აკადემიური კონკურსისთვის აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და განათლების მეცნიერებების დარგის სპეციფიკაციასთან მორგება;
4.11 პროგრამის პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია დარგის შესაბამის სპეციალისტებთან აფილირებული ხელშეკრულებების გაფორმება;
4.12 მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიწეროს განათლების მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რაც პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საკმაოდ რთულ მისიას მეტ-ნაკლებად მიღწევადს გახდის;
4.13 მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვაში აჩვენოს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, რაც რეალურად ბიუჯეტის დაკორექტირების საჭიროების წინაშე დააყენებს მას;
4.14 ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა პროგრამასთან მიმართებით.

რჩევები:
4.15 კომპეტენციების რუკაზე სრული ინფორმაციის მონიშვის მიზით უნდა გადაიხედოს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები სშინაარსი;
4.16 სასურველია გაიზარდოს სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიის მინიმალური შემადგენლობა (3 წევრი), რაც გაზრდის სადოქტორო ნაშრომის დაცვის ლეგიტიმაციას, მით უფრო, რომ დებულების მიხედვით, ორივე შემფასებელი კვლავ შეიძლება იყვნენ ამკ ომისიის 2 წევრი;

4.17 სასურველია დისერტაციის დაცვაზე დაშვების სხვა წინაპიბირობებს ერთ-ერთ წინაპირობად განესაზღვროს პლაგიატზე შემოწმების პროცედურაც, დებულებაში ჩანაწერის დამატებით;
4.18 სასურველია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის კულტურის კომიტეტს შორის პასუხისმგებლობათა თანაბარი გადანაწილება, თანამონაწილეობისა და ჩართულობის მაღალი ხარისხი;
4.19 სასურველია საერთაშორისო/ განათლების სფეროს წარმატებული მკვლევრების მონაწილეობით პროგრამების გარე რეფერირების პრაქტიკის დამკვიდრება და დოკუმენტირება შესაბამის რეგულაციაში.
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 27 აპრილს
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	განათლება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111 განათლების მეცნიერება
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
15	განხორციელების ადგილი[7]	ნოდარ ბოხუას11, 0159, თბილისი, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 27 აპრილი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[8]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[8] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში